წელიწადი 1911 პირველი

ორშაბათი, 7 მარტი № 9

თეში

ორშაბათი, 7 მარტი № 9

ფასი გაზეთისა: წლიურად 2 მ. 50 კაპ. ნახევარი წლით 2 მან. 3 თვით—1 მან.

თითო ნომერი 5 კაპ.

განცხადებათა ფასი: პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი—15 კ. უკანასკნელ გვერდზე—10 კაპ. ტექსტის შუაგულს—20 კაპ. სამგლოვიარო განცხადების ერთხელ დაბეჭდვა—3 მან.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.

დაწუნებულ წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია ინახავს მხოლოდ ორი კვირის განმავლობაში. პასუხისათვის საჭიროა ფოსტის მარკები. რედაქტორის ნახვა შეიძლება ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, 11 საათიდან 12 საათამდის. რედაქციაში (Головинскій просп. д. МИРЗОЕВА, № 22. ხელის მოწერა და განცხადებები მიიღება აქვე კვირა-უქმეების გარდა.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი. გამოდის ყოველ ორშაბათს

მიიღება ხელის მოწერა

1911 წლისათვის

გაზეთ თეშზე

ფასი გაზეთისა:

წლიურად	2 მ. 50 კ.
ნახევარი წლით	2 მ.
სამი თვით	1 მ.

განცხადებათა ფასი:

პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი	15 კ.
უკანასკნელ გვერდზე	10 კ.
ტექსტის შუაგულს	20 კ.
სამგლოვიარო განცხადების ერთხელ დაბეჭდვა	3 მ.

რედაქტორ-გამომცემელი ბრიგოლ დიასამიძე.

რედაქციის და კანტორის ადრესი: Головин. пр. д. МИРЗОЕВА, 22, гдѣ книжный магазинъ „Новая Рѣчь“.

რუსეთში პირველი მექანიკური წარმოება

პატენტიან ჩემოდანების და ზანდუკების

„გლობტროტტერ“

ნამდვილ ვულკან შემუშავებულ ამერიკულ ფიბრიდან.

იყიდება მარტო საკუთრო და სამრეწველო ამხანაგობის

ძმ. ა. და ია. ალშვანგეზის მაღაზიაში.

ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავათმყოფთათვის

ვაგზლის ქუჩა № 8 ტელეფონი № 695.

ა. ნ. დიასამიძე—ყოვ. დღე კვირის გარდა 11½—12½-დე სიფილისი, კანისა და ვენერ.

ბ. ა. პოპოვი—ყოვ. დღე კვირის გარდა 11½—12-დე ყელ. ყურ. ცხვირ. სნეულ.

ნ. მ. მელიძიშვილი—ყოვ. დღე კვირის გარდა 1—2. ქირურგ. და ქალებ. სნეულ.

შ. ა. მიქელაძე—ყოვ. დღე 1—2 ს. შინაგ. დაბავშვ.

გ. ვ. სოგოლევსკი—ყოვ. დღე კვირის გარდა 2—3-დე ქირურგიული სნეულ. მიკროსკოპიული; ბაქტეოროლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა.

ფასი რჩევისათვის 50 კაპ. ოპერაციები და კონსულტაციები მორიგებით.

წამლობა „606“-ით.



Кавказское Товарищество торговли аптекарскими товарами въ Тифлисѣ

ВИТАС

Адресъ телеграммъ Санитасъ Тифлисъ

ვისაც სურს კარგად და ლამაზად შეინახოს თავის სახლი, ავეჯეულობა, საშინაო ნივთები, კიბეები, სკამები, მესერები, ეტლები, ნავები და სხვ. იმან უსათუოდ უნდა იყიდოს საღებავი რიპოლინი.

დარიგება ურიგდება ყველას უფასოდ.

რესტორანი

„კაფე-პარიზი“

ქართული თეატრის ეზოში (სასახლის ქუჩა, ქართველ თავად-აზნაურობის სახლში) ჩაი, რძე, ყავა, შოკოლადი, კაკაო, ცხელი „პიროჟკები“ სხვა და სხვ. ბუტერბროდები, ხაჭაპური.

საუზმე პორციობით 25 კ.—50 კაპეიკამდე.

მინერალური წყლები

დვინო, არაყი, შაგარი სასმელები სხვა და სხვა ქარხნების ღუდი ბოთლებით და ჭიქებით. ცხელი პორციები, წვნი, შემწვარი. საუმარხმო საჭმელები ცალკე კარტით. თვიურად შეღავათიანი პირობებია. ფასი ზომიერია. სრული სისუფთავე და წესიერება. პატივისცემით თოფურია.

ჩვენი გაზეთის თანამშრომელთა მიმართ.

მოვალედ ვრაცხთ გაცნობოთ:

1) თუ ფოსტით გამოგზავნილ სალიტერატურო მასალაში ფული სრულად არ ეძნება გადახდილი გამომგზავნელს, რედაქცია გადახდას არ იკისრებს, მაშასადამე ფოსტიდან არ დახსნილი მასალა ტყუილად დაიკარგება.

2) დაუბეჭდავ მასალის გამო არავითარ მიწერ-მოწერას რედაქცია არ კისრულობს ავტორებთან.

3) წერილები უნდა დაიწეროს არა უმეტეს ორი სვეტისა.

4) წერილები საკირადო ხასიათისა არ დაიბეჭდება, პოლემიკური წერილები მიიღება დასაბეჭდათ მხოლოდ მაშინ, როდესაც კამათს პრინციპიალური ხასიათი აქვს.

ექიმი

გ. ფ. ნათიშვილი

სიფილისი, კანისა და ვენერიული ავადმყოფობა.

დიღმით 11½ ს.—1 ს. სადამ. 7—8 ს.

ადრესი: მონუმენტის შესახვევი № 5. ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ.

ტელეფ. 487.

ტფილისი, 7 მარტი.

არ არის ისეთი სიტყვა, რომელიც ისე საყვარელი იყოს ჩვენი საზოგადოებისათვის, როგორც—„ოპოზიცია“.

ამ სიტყვით ჩვენში ხშირად ნათლავენ ყველა საპირადო გალაშკრებას ერთი რომელიმე „საზოგადო მოღვაწისა“ მეორის წინააღმდეგ.

სდგება თუ არა ამგვარი „ოპოზიცია,“ მაშინვე საზოგადოება ახმაურდება ხოლმე. თითქო საზოგადო საქმისადმი ინტერესი ებადება, თითქო შნო და ხალისი უჩნდება ჭეშმარიტების და საზოგადოდ საგნის გამოსარკვევად.

მაგრამ ასე მხოლოდ ერთის შეხედვითა სჩანს, თორემ ნამდვილად კი ჩვენი საზოგადოება მხოლოდ ირთობს თავს და თვალისეირს უცქერის.

ჭეშმარიტება კი არ ირკვევა, არამედ უფრო და უფრო სიბნელის ქსელში ეხვევა. საშინელი ვნებათა ღელვა ჩნდება და მრავალი სხვა და სხვა ნაირი ინციდენტები იბადება.

საზოგადოება იყოფა ორ, ხშირად მეტ ნაწილად. „დასი“, „პარტია,“ „ჯგუფი“ გროვდება რომელიმე ერთი პირის გარშემო, რომელსაც ბედმა არგუნა რითიმე თავის „გამოჩენა“ საზოგადო სარბიელზე. ამის მიხედვით მეორე მოპირდაპირე „ჯგუფიც“ სდგება სხვა პირის გარშემო და ამგვარად იმართება ნამდვილი ჭიდილი ამ ჯგუფების შორის.

ვისაც თავი მობეზრებული არა აქვს, ვისაც საზოგადო საქმე უყვარს და ჭეშმარიტებას ემსახურება, ის რასაკვირველია, ნება-უნებლიედ განზე დგება ხმას არ იღებს რადგანაც ჰფიქრობს, რომ სულ ერთია მის მიუკერძველობას და მიუდგომლობას არავინ იწამებს. ზოგჯერ კი თავის სურვილის წინააღმდეგ შეუმჩნეველად ისიც ჩაერევა ხოლმე შუღლსა და საპირადო ქიშპობაში.

ასე ყოფილა თავიდანვე ჩვენში. ასეა ახლაც.

ეს გარემოება, რა თქმა უნდა, ძალიან დასაფიქრებელია, რადგანაც ვერაფერ მოშავალს უქადის ჩვენს საზოგადო საქმეებს.

ზემოხსენებულ მოვლენას აქვს ადგილი მხოლოდ იმ საზოგადოებაში, სადაც საზოგადოებრივი აზრი არ არსებობს და სადაც საზოგადოებრივი აღზრდა არ სუფევს.

ჩვენ რომ ამ მხრით ვყოფილიყავით უზრუნველ ყოფილი, მაშინ სულ სხვა სურათს დავინახავდით. ამ საზოგადოებრივი აზრის წინაშე ყველა მოიხრიდა თავს და ყველაფერი წესიერ კალაპოტში ჩადგებოდა.

ყველა ეს უკუღმართი მდგომარეობა გვიყენებს საკითხს, შეიძლება თუ არა გაჩნდეს ჩვენში საქმიანი იდეური „ოპოზიცია...“

მკითხველი მიხვდება, რომ ჩვენ აქ „პოლიტიკურ ოპოზიციაზე“ არა ვბაასობთ—ამის შესახებ სხვა დროს გვექნება ლაპარაკი ჩვენ მხოლოდ შინაური „ოპოზიციაზე“ მოგახსენებთ, რომელიც ხანდისხან ჩნდება ხოლმე ჩვენს საოთავად-აზნაურო, საბანკო და სხვა საზოგადო დაწესებულებაში.

ავიღოთ, მაგალითად, საოთავად-აზნაურო საქმეების სფერა.

ჩვენმა მკითხველმა უკვე იცის, რომ თავად-აზნაურობის დაწესებულება თავის 300.000 მ. ბიუჯეტით ჩვენ იმ საყურადღებო დაწესებულებათ მიგვაჩნია, რომელსაც შეუძლია ერობის შემოღებამდე სასარგებლო სამსახური გაგიწიოს, უკეთუ მას შესაფერ მიმართულებას მისცემენ მისი შემადგენელი ელემენტები.

ჩვენ უკვე ადრე გამოვსთქვით ის აზრი, რომ ჩვენმა დემოკრატიულმა ინტელიგენციამ, თავად-აზნაურობის წრიდან გამოსულმა, უნდა გამოიყენოს ხალხის სასარგებლოდ ეს დაწესებულება, უნდა ეცადოს მის გადემოკრატებას.

ეს საგანი და ეს მიმართულება რომ ჰქონოდა გათვალისწინებული ჩვენი საზოგადოების ერთ ნაწილს, რასაკვირველია, მაშინ დაიბადებოდა ნამდვილი **იდეური** ოპოზიცია, რადგანაც დემოკრატიული ნაწილი წინ აღუდგებოდა ჩვენს აგრარიებს და ბრძოლაც კანონიერ, ბუნებრივ ხასიათს მიიღებდა. მაგრამ საუბედუროდ ზოგი ინტელიგენტი, რომელიც დაბადებით თავად-აზნაურობას ეკუთვნის, გაურბის მის დაწესებულებას, სრულებით გულ-გრილად უყურებს მის საქმეებს. ჩვენ, რასაკვირველია, იმას კი არ ვქადაგებთ, რომ დემოკრატიული ელემენტები წამოსკუპდნენ ჩვენს აგრარიებთან ერთად კომისიებში და საკრებულოებში, არამედ გავლენა იქონიონ საქმეთა მსვლელობასა და საკითხთა გადაწყვეტაზე საზოგადო კრებებში.

სამწუხაროდ ასე არ უყურებენ ჩვენში „სათავად-აზნაურო საქმეებს. სამარშლო და სადეპუტატო საკრებულოს მომდურავნი რომ დავახასიათოთ ცალ-ცალკე ძალიან ცოტას ვიპოვით იმისთანას, რომელნიც ამ ჩვენგან გამოთქმულ აზრს ეთანხმებოდეს. თუ ოპოზიციას ისინი იდეურ ელფერს მისცემენ და კამათს ამ ნიადაგზე დააყენებენ მაშინ თავად-აზნაურობის მეთაურნი ვეღარ გაბედავენ პირადობა უკიჟინონ. საზოგადოდ თავიდან უნდა აიცდინონ ყოველივე საპირადო, რადგანაც ეს მეთაურები ამ გარემოებას თავისდა სასარგებლოდ იყენებენ და თავის იდეურ პირად მოწინააღმდეგეებს განგებ ერთმანეთში ურევენ, ერთ ჯგუფად სთვლიან, რომ გაიადვილონ ბრძოლა. რა თქმა უნდა ამ ხერხსაც ვერ იყენებენ თავის სასარგებლოდ; მაგრამ ეს მათი უმწოობის ბრალია.

ესეც საჭიროა აღვნიშნოთ, რომ იდეურ საქმიან ოპოზიციის უქონლობა არის შედეგი აგრეთვე მოპირდაპირე მხარის უპრინციპობისა.

თავად-აზნაურობის ახლანდელი ზოგიერთი მეთაურები, რომელნიც ელფერს აძლევენ ამ დაწესებულებას, უფროს ერთ შემთხვევაში ეკუთვნიან ეგრედ წოდებულ აგრარიებს. თუმცა ამ თავის მიდრეკილებას ისინი ყოველნაირად მალავენ, მაგრამ მათი მოქმედება მაინც გვიმტკიცებს ამას.

ამიტომ საჭიროა ამათ დაუპირდაპირდეს ლეგალური დემოკრატიული ჯგუფი, რომელიც მოახერხებს ცოტაოდნად მაინც გავლენა იქონიოს კრებაში საქმეთა მიმართულებასა და მიმდინარეობაზე. თორემ სხვანაირი „ოპოზიცია“ მავნებლობის მეტს არას მოიტანს, რადგანაც დაფუძნებული იქნება საპირადოზე.

მართალია მაშინ ცოტანი იქნებიან ოპოზიციის ჯგუფში, მაგრამ ეს არა უშავს-რა, რადგანაც საქმე რიცხვზე კი არ არის დამოკიდებული, არამედ სამართლიან აზრზე.

მხოლოდ ამგვარ ოპოზიციას აქვს მომავალი. სხვა ოპოზიცია კი დროებითი და წარმავალია მოვიგონოთ, რა მოუვიდა ილია ჭავჭავაძის წინააღმდეგ გამოსულ ჯგუფს, როდესაც გარემოება შეიცვალა. ოპოზიცია ძალიან მალე დაიბნა...

ამიტომ ჩვენ ვისურვებთ, საოპოზიციო ჯგუფმა, რომელიც თავად-აზნაურობის დაწესებულებაში გაჩნდა, რაც შეიძლება მალე ეს ხასიათი მიიღოს.

მაშინ მხოლოდ მოუტანს იგი საზოგადოებას ნაყოფიერ სარგებლობას...

---

28 თებერვალს დამთავრდა წვრილი კრედიტის მოღვაწეთა პირველი საერთო კრება ამიერ კავკასიაში.

მკითხველმა უკვე იცის ჩვენი შეხედულება ამ საგანზე. ჩვენ ეს კრება ბიუროკრატიულ წესზე მოწვეულ და მოწყობილ კრებად მიგვაჩნია. დანიშნული თავსმჯდომარე, ამისგან დასახელებული თავსმჯდომარის ამხანაგები, უპირატესი მონაწილეობა მოხელეებისა—ყველა ეს, რასაკვირველია, თავის ელფერს აძლევდა მთელ კრებას და მის მუშაობას.

ინდენად თავისუფალი ვერ იყვნენ კრების თაოსანნი, რომ უბრალო სექციებადაც კი ვერ გაბედეს კრების დაყოფა მაშინ, როდესაც ამ სექციებში უფრო ნაყოფიერი იქნებოდა მუშაობა. აქ თავისუფლად ილაპარაკებდნენ თავიანთ დედა-ენაზედაც მოწვეულნი მოღვაწენი, რომელნიც რუსულის უცოდინარობის გამო დიდ კრებაში ლაპარაკს ვერ ჰბედავდნენ და გაჩუმებული ისხდნენ. ბევრს რუსული სრულებით არ ესმოდა. ზოგი თუმცა „რუსულად“ ლაპარაკს ჰბედავდა, მისი აზრის გაგება ძალიან ძნელი იყო. ჩვენ პირდაპირ გაოცებული შევსცქეროდით ამ გაჭირვებულ მოლაპარაკეთ. ზოგს ღიმილი მოსდიოდა და ეს **ღიმილი** უტყუარი დაფასება იყო მთელი იმ ბიუროკრატიული სისტემისა, რომელიც ასე სჩაგრავს სხვა ენებს, გარდა, რასაკვირველია, სახელმწიფო ენისა.

თუმცა ასეთ პირობებში იყო მოწვეული ეს პირველი საერთო კრება ჩვენში, მაინც მას სასარგებლო შედეგი მოჰყვა. ერთის მხრით ეს მისი ბრალია, რომ კრებას მიუკერძველი თავსმჯდომარე აღმოუჩნდა. მართლაც ბ. დიმიტრი ბეზობრაზოვი მცოდნე პირი, კარგი, დახელოვნებული თავსმჯდომარე ყოფილა. ამან კრების სიმპატია მალე დაიპყრო. ეს სიმპატია მაშინ გამოიხატა განსაკუთრებით, როცა მადლობა გადუხადეს კრების თაოსნობისა და ხელმძღვანელობისათვის.

ამ პატარამ, ვიწრო ფარგლებში მოწვეულმა, კრებამაც ნათლად დაგვანახვა, თუ რაოდენი სარგებლობის მოტანა შეუძლია ხალხისათვის ამ გვარ საერთო კრებებს სხვა და სხვა საზოგადო საკითხების გამოსარკვევად.

ამ კრებას დაესწრენ სხვა და სხვა კავკასიაში მოსახლე ერების წარმომადგენლნი. აქ იყო რუსი, სომეხი, ქართველი, ოსი და სხვ.

ყველა ესენი მოეყვანა საერთო გაჭირებას, ერთს საზოგადო საქმეს. ყველა მსჯელობდა ისე, რომ არც ერთს მათგანს არ გამოუყვია თავის კუთხის საქმე ცალკე. იმერელი ისევე მსჯელობდა ერევნის ამხანაგობის საქმეებზე, თითქო ეს დაწესებულება მისს სამშობლოში ყოფილიყო დაარსებული. ერევნელი სომეხიც თავის მხრით გულმოდგინედ და დიდის ყურადღებით იკვლევდა ქუთაისის გუბერნიაში დაარსებულ საკრედიტო ამხანაგობების მდგომარეობის. კრების წევრნი ისე დაუახლოვდნენ ერთმანეთს, რომ ზოგიერთი მათგანი ამ სტრიქონების დამწერს შესჩიოდა კრება მალე დამთავრდაო.

თუმცა კრების ნაშრომს დაჩქარება ეტყობა, მაგრამ მისი ნაღვაწი მაინც საყურადღებოა.

გაიგეს მდგომარეობა სხვა და სხვა ამხანაგობათა, გაითვალისწინეს მათი მომავალი, შეიმუშავეს პირობები და ზომები, რომელთაც შეუძლიან წინ წასწიოს ეს ახალი საქმე ხალხისათვის სასარგებლოდ.

გამოირკვა ბევრი რამ: საგანგებოდ ამ საქმისათვის დანიშნულმა სახელმწიფო მოხელეებმა უნდა უსათუოდ იცოდნენ ადგილობრივი ენა, რომ შეეძლოთ სარგებლობის მოტანა, უნდა დაარსდეს ეგრედ წოდებული მოძრავი კათედრები, რომ ხალხს ემცნოს მნიშვნელობა ამ პაწია ფინანსიურ დაწესებულებათა; უნდა დაარსდეს ამხანაგობათა კავშირი. აიხსნა აგრეთვე ბევრი ნაკლი ამხანაგობათა პრაქტიკასა და ტეხნიკურ მოწყობაში.

ყველა ამ საკითხების შესახებ კრებამ თავისი რეზოლიუციები დაადგინა. სამწუხაროდ ეს გადაწყვეტილებანი რიგიანად ჩამოყალიბებულნი არ არიან და ამიტომ ზოგჯერ მათში ჩასახული აზრი ბუნდოვანად არის გამოთქმული.

ამ მოკლე ხანში გამოსცემენ კრების ნაშრომს და ჩვენც დაწვრილებით გამოვეცაბასებით მკითხველს ამის შესახებ.

კრებაში გამოითქვა სურვილი, რომ შესდგეს კიდევ მეორე ამისთანა საერთო კრება. უეჭველია ამ მეორე კრებაში მიიღებენ მონაწილეობას უფრო მომზადებული პირები. კრება უსათუოდ ისეთ პირობებში უნდა იყოს მოწვეული, რომ ყველამ, ვისაც კი ეს საკითხი საინტერესო და სასარგებლო საქმედ მიაჩნია, უნდა თავისუფლად მიიღოს მონაწილეობა. პირველმა კრებამ ხომ დაგვიმტკიცა, რომ საშში არაფერი არ არის. ადგილობრივმა ელემენტმა დიდი ტაქტი და დარბაისლობა გამოიჩინა.

ყველა ამას ვამბობთ და თანაც ერთი აზრი არ გვშორდება.

საკრედიტო ამხანაგობა და ყველა სხვა ხალხის ეკონომიურ კეთილდღეობისათვის საჭირო დაწესებულება მაშინ მხოლოდ გამოიღებს კეთილ ნაყოფს, როდესაც ჩვენშიაც შემოიღებენ ერობას.

ეს არის ისეთი პირობა, ურომლისოდ არაფერი არ გაუმჯობესდება ჩვენში.

მაგრამ განა მალე მისწვდება ჩვენი მღაღადებელი ხმა იქ, სადაც ჯერ არს?!...

კიდევ საქვეყნო ვარამის შესახებ.

საქართველოს ეწვია დიდი უბედურება. თითქმის მთელი მისი დასავლეთის ნაწილი ჯერ თოვლისა და ახლა კი წყალდიდობის გამო ძალიან დაზარალდა. ეს საშინელი სურათი სახალხო წვა და დაგვისა მხოლოდ ჩვენ არ გვაღელვებს, თორემ სხვაგან, თითქმის ყველგან, დიდი ლაპარაკი და აღელვებაა.

რუსეთის გაზეთები, რომელნიც ასე ძვირად გვაქცევენ ყურადღებას, ახლა თითქმის სავსე არის წერილებით ამ საერთო ვარამის შესახებ.

სხვათა შორის კადეტების გავლენიანი გაზეთი „რეჩი“ დაწვრილებით მოგვითხრობს ამ უბედურების შესახებ ამბებს და მოუწოდებს ყველას ახლავე აღმოუჩინონ დაზარალებულებს შემწეობა.

გაზეთი ამბობს, რომ მისვლა-მოსვლა საქართველოში სოფლად ნამეტანი ძნელი შეიქმნა. ცხენი ვერ დადის, ფეხით კი დიდ მანძილს ვერ გაივლის კაცი. ზოგან თოვლი საჟენზე მაღლა ძევს. ბევრგან სახლები დაინგრეულია. სიმინდის ფქვა არსად არ შეიძლება; რადგანაც წისქვილები თოვლისა და ყინულისაგან დაფარულია და ამიტომ არ მუშაობენ. ზოგან სიმინდს ხარშავენ და ისე იკვებებიან. საქონელი სიმშილისაგან იხოცება.

ცხვარს ბლომად ყიდულობენ სოფლად ჩარჩები და მიჰყავთ ქალაქებში. პატრონები იძულებულნი არიან მიჰყიდონ ცხვარი იაფ-ფასებში, რომ როგორმე მოიპოვონ სახსარი სიმშილისაგან დახსნისა. სანოვაგემ საზოგადოდ ძალიან აიწია ფასში. მშიერი მგლები დაწრწიან სოფლად და ჰგლეჯენ საქონელსა. მარტო აბაშის რაიონში ექვსი ამისთანა შემთხვევა იყო. სხვა და სხვა ავადმყოფობა გაჩნდა. ხალხი იხოცება, რადგანაც არც ექიმი და არც წამალია. მეტადრე ბევრი ხალხი იხოცება სამგზავრელოში.

სოფელში შემდეგ სამწუხარო სურათს დაინახავს კაცი.

ღილიდანვე მუშა ხალხი საჟენიან თოვლისაგან სწმენდავს გზას, რომ გასვლოს ცხედარი ეკლესიამდე და იქიდან სასაფლაომდე.

თებერვლის შუაგულიდან ამინდი გამოიცვალა. თოვლმა დნობა დაიწყო და ახლა წყალდიდობა უქადის ქვეყანას წარღვნას. მეტადრე ჭალადიდში ძლიერ დაზარალდა ხალხი.

ასე აგვიწერს ჩვენს უბედურებას რუსული გაზეთი. ჩვენ კი ჩვეულებისამებრ ვზივართ გულ-ხელ დაკრეფილნი.

ქუთაისის გუბერნიის მმართველიც კი მოგვიწოდებს შემწეობის აღმოსაჩენად და

ჩვენ კი ვსდუმთ. ჩვენს გარდა, სდუმს სოფელიც. ეს დუმილი საშინელია. სოფელს იმედი დიდი ხანია გადაწყვეტილი აქვს. არსაიდან და არავისგან არ მოელის შველას. ყოველად უმწეო არის და ამნაირად სასომიხდილი იგი არც არავის ატყობინებს თავის აუწერელ ჭირ-ვარამს.

მაგრამ ნუთუ იმდენად დაგვიჩლუნგდა გრძნობა, იმდენად მოგვიდუნდა ძარღვები, რომ არ გვესმის, თუ რაოდენი მწუხარება, რა საშინელი გოდება იმალება ამ საოცარ სიჩუმეში?..

ჩვენმა საზოგადოებამ უნდა გამოიღვიძოს ამისთანა დროს, უნდა გამოიჩინოს უნარი და შნო, უნდა მიეშველოს გაჭირვებულ სოფელს.

ამიტომ ჩვენმა რედაქციამ ითავა მოეხდინა თათბირი იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოეწყოს შველა და შემწეობა.

იმედი უნდა ვიქონიოთ ყველა გრძნობიერი წევრი ჩვენი საზოგადოებისა განურჩევლად ეროვნებისა გამოიჩენს გულკეთილობასა და მხნეობას, ამ საქმეში შეძლებისამებს დაგვეხმარება.

ჩვენ დიდი იმედი გვაქვს ჩვენი ახალგაზდობისა, რომელიც, დარწმუნებული ვართ, ყველაზე წინ გაუძღვება ამ ყოვლად საჭირო საქმეს.

თათბირმა უნდა გადასწყვიტოს ცალკე კომიტეტის დაარსება, რომელშიაც უნდა მოჰყვნენ საპატიო და ქველმომქმედი პირები. ამკომიტეტმა დიდი ცდა უნდა გასწიოს ტ უნარი გამოიჩინოს ნივთიერ საშუალებათა შეკრებასა და განაწილებაში.

კომიტეტმა თავის მხრით დააარსოს არა მარტო კავკასიაში, არამედ რუსეთშიაც მეტადრე სატახტო და უმთავრეს ქალაქებში, სადაც ჩვენი ახალგაზდობა და ჩვენი ხალხი სცხოვრობს დამხმარე კომიტეტები, რომელნიც შეაგროვებენ ფულს და სხვა ნივთიერ საშუალებას.

თუ გამოვიჩენთ მხნეობას, უეჭველია, საქმეს ეშველება.

საჭიროა აგრეთვე, რომ ამ საქმეში დიდი მონაწილეობა მიიღოს ქართველმა საქველმოქმედო საზოგადოებამ. ამ დაწესებულებას, როგორც უკვე დაარსებულს და სამოქმედოდ მომზადებულს უფრო შეჰფერის ამისთანა საქმეში სათავეში დგომა და წინამძღოლობა.

ჩვენ იმედს არ ვკარგავთ, თუ რომ საქმეს რიგიანად მოვაწყობთ მთავრობაც აღმოუჩენს თავის სახსრიდან შესამჩნევ შემწეობას.

ერთის სიტყვით საჭიროა ზრუნვა, ფიქრი და მოქმედება. მაშინ დარწმუნებული ვართ შეეძლებთ დასავლეთ საქართველოში დაზარალებულთა ვარამის შემსუბუქებას და გაქარწყლებას.

◄ ►

კიდევ ახალის ლექსიკონის შედგენის და გამოცემის გამო.

„თემის“ № 7-ში დაბეჭდილის ჩემის წერილით **ახალის ლექსიკონის შედგენის და გამოცემის განძრახვის გამო** მიწდოდა გამეგებინებინა ყველასთვის, ვისაც ინტერესებს ლექსიკონის გამოცემა, თუ რა ხასიათისა იქნება ის ლექსიკონი, რომლის შედგენა და გამოცემა განძრახული აქვს წ.-კ. გამავრც. საზოგადოების გამგეობას. ამ წერილში, მოკლედ რომ ვთქვათ, ვამბობდი შემდეგს: საჭირო შეიქნა ქართულის ლექსიკონის გამოცემა, რადგან გამოილია ერთად-ერთი ქართულ-რუსული ლექსიკონი დ. ჩუბინაშვილისა, რომელსაც ბაზარში თხოულობენ როგორც ქართველები, ისე უცხოელები. ასეთმა თავისთავად გაჩენილმა საჭიროებამ აიძულა წ.-კ. გამავრცელებელის საზოგადოების გამგეობა უზრუნა ლექსიკონის ახალის გამოცემისათვის. ჩუბინაშვილის ლექსიკონის გამოცემა შეუძლებლად იქნა ცნობილი, რადგან იგი არც სრულია და არც უნაკლულოა. გადასწყდა შესდგეს ერთის წლის გამავლობაში უფრო სრული და, რაოდენადაც შეიძლება, უნაკლულო ლექსიკონი, რომელსაც სიტყვების ქართულად განმარტებას ექნება დართული განმარტება რუსულსა და ფრანგულს ენაზედაც.

აი ამ ნათქვამმა მისცა საბუთი „სახალხო გაზეთის“ ერთს თანამშრომელს დაწერა მეთაური (იხ. № 242), რომელიც უარს ჰყოფს განძრახულის ლექსიკონის სარგებლობას და თხოულობს ქართულის სიტყვების სრულის მეცნიერულის კრებულის შედგენას და გამოცემას უთარგმანოდ რუსულსა და ფრანგულს ენაზე.

ქართულ-რუსულ ფრანგულის ლექსიკონის სარგებლობასა და საჭიროებაზე მე საკმაოდ ვილაპარაკე ჩემს პირველს წერილში და ამის უარმყოფელი საბუთები მეთაურის ავტორს არ წარმოუდგენიო. ამიტომ ამაზე აქ აღარას ვიტყვი. ვილაპარაკებ მხოლოდ ავტორის ერთს ბრალდებაზე, რომელიც მეტად დაუსაბუთებლად და მაშასადამე უსამართლოდ მომაჩნია. ჩემი ნათქვამი, რომ ახალს ლექსიკონის შედგენის და გამოცემის საჭიროება ბაზრის მოთხოვნილებამ გამოიწვიაო, მეთაურის ავტორს ათქმევინებს, ვითომ მე ლექსიკონის გამოცემას მხოლოდ და მარტო წიგნის ბაზრის თვალსაზრისით ვუცქეროდე, ე. ი. იმისაგან განმარტებით, ვითომ ძვიელ ნაკლებ ეზრუნავდე მომხმარებელთა საჭიროების დაკმაყოფილებისთვის და ვითომ მე მაინტერესებდეს არა ეს დაკმაყოფილება, არამედ ამ მიზნით მომხმარებელთა მიერ საქონლის ყიდვა. არ ვიცი, სხვებისთვისაც ისევე ცხადია ჩემი ასეთი თვალსაზრისი, როგორც მეთაურის ავტორისთვის, თუ არა; ეს კი ვიცი, რომ მაგისთანა თვალსაზრისს ჩემთან საერთო არაფერი აქვს. ჩემი თვალსაზრისი მდგომარეობს შემდეგში: ახალმა ლექსიკონმა უნდა საშუალება მისცეს ყველას, ქართველი იქნება თუ უცხოელი, ლიტერატორი იქნება თუ თარჯიმანი, ნასწავლი თუ მოსწავლე, შეისწავლოს ქართული ენა ქართულის სიტყვების მნიშვნელობის შეთვისებით. დღემდის ასეთს როლს ასრულედა ჩუბინაშვილის ლექსიკონი და ამიტომ დიდი სარგებლობაც მოჰქონდა მხმარებელთათვის იმის მიუხედავად, რომ ბევრი ნაკლულევანება ჰქონდა და არც სრული იყო. ეს ლექსიკონი ემსახურებოდა ქართველობას და უცხოელობას 30 წლის გამავლობაში და არც ერთხელ უთქვამს ვისმე, რომ იგი ყოფილიყვეს მავნებელი და მაშასადამე ბაზრითგან გასადევნი. ლექსიკონს აბუჩად აიგდებს მხოლოდ ის, ვისაც იგი არ გაუშინჯია და არ უხმარია. იგი წარმოადგენს დიდის ფორმატის 890-გვერდიანს ტომს, რომელშიაც სიტყვები დალაგებულია ევროპიულის ლექსიკონების სისტემაზე, თითქმის ყოველი სიტყვა ახსნილია ქართულადვე და ამის გარდა განმარტებულია რუსულად ან ერთის სიტყვით, ეკვივალენტია მისი, ან მთელის ფრაზით, თუ მისი ეკვივალენტი არ მოიძებნება რუსულში. აი ეს ლექსიკონი გამოილია და დარჩა დაუკმაყოფილებელი ის მოთხოვნილება, რომელსაც ის აკმაყოფილებდა. წ.-კ. გამავრცელებელის საზოგადოების გამგეობამ მიაქცია ყურადღება ამ გარემოებას და მოინდომა ხსენებულის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად გამოეცა უფრო სრული და, რაოდენადაც შეიძლება, უნაკლულო ახალი ლექსიკონი. ჩემის აზრით,—გამგეობა ამ განძრახვის შესრულებით დიდს სამსახურს გაუწევს ქართველობასაც და იმ უცხოელებსაც, რომელსაც ქართულის შესწავლა უნდა. თუ ასეთს ჩემს აზრს ვინმე დაუძახებდა „ბაზრის თვალსაზრისს,“ მე არ წარმომედგინა.

რაიცა შეეხება სრულს ქართულს სიტყვების მეცნიერულს კრებულს, ვინ იტყვის, რომ მისი შედგენა და გამოცემა არ იყვეს სასურველი და საჭირო? მაგრამ საქმე ის არის, რომ ასეთის ლექსიკონის შედგენის და გამოცემის სურვილი ბევრს ხანს დარჩება ჩვენში ცარიელს სურვილად, რადგან მის გამახორციელებელი ძალები ჯერ არა ჩანს ჩვენში. ამისთანა ლექსიკონის შესადგენად ჯერ მასალის შეგროვებაა საჭირო. მე თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ასეთს ლექსიკონს ვერ მოვეს-სწრებით მალე. ასე თამამად ლაპარაკის საბუთად მე შემიძლიან წარმოვადგინო ამისთანა ლექსიკონების შედგენის ისტორია უფრო განვითარებულს ქვეყნებში. დ. ჩუბინაშვილმა ლექსიკოგრაფიაში ერთი ნაბიჯი გადასდგა წინ, ახლა საჭიროა გადაიდგას მეორე ნაბიჯი, რომელსაც შემდეგში მოჰყვება მესამე და მეოთხე. საკითხი ახლა ის კი არ არის, საჭიროა თუ არა იმისთანა ლექსიკონის გამოცემა, როგორსაც აპირებს წ.-კ. გამავრც. საზოგადოების გამგეობა, არამედ იმაში, შესძლებს თუ არა იგი თავის განძრახვის განხორციელებას, გამოძებნის თუ არა იმისთანა პირს ან პირებს, რომელთაც შეეძლებათ განძრახულის ხასიათის ლექსიკონის შედგენა. ამიტომ მე ბუნებრივად მიმაჩნია „სახალხო გაზეთის“ მეორე თანამშრომლის სურვილი, გაიგოს თუ ვინ არის არჩეული გამგეობისაგან ლექსიკონის სარედაქტოროდ და აგრეთვე მისი რჩევა, რომ რედაქტორის არჩევის დროს დაცულ იქნას დიდი სიფრთხილე. არანაკლებ ბუნებრივად და საბუთიანად მიმაჩნია აგრეთვე ბ-ნის იმნაიშვილის მხრით გამოთქმული იმავე გაზეთში აზრი ლექსიკონის სარედაქციოდ დასახელებულის პირის შეუფერებლობის შესახებ.

დ. კარიჭაშვილი.

ნიმუში უტყუარი ნიჭისა.

ჯერ კიდევ არ გამოსულიყო ჩვენი ორგანო, რომ რედაქციამ მიიღო რამდენიმე „ლექსი“ ჩვენი მელექსეებისაგან. გამოვიდა თუ არა პირველი ნომერი, გამოგზავნილ „ლექსების“ რიცხვმა იმატა. ამ დღეს აქეთია ჩვენი რედაქცია ავსებით ივსება ამ „ლიტერატურული ნაწარმოებით.“ არ ვიცით, რა დანაშაულობა მიგვიძღვის ერის წინაშე, რომ ასე დაუნდობლად გვსჯიან ჩვენი მელექსეები. როგორც ვუწყით, დანარჩენი რედაქციები ამგვარსავე მდგომარეობაში არიან.

აუარებელი რიცხვის ახლანდელ ნიჭ-მოკლებულ მოშაირებისაგან სწორედ გარეგოცულია ქართული რედაქციები საზოგადოდ და ჩვენი კერძოდ.

აი ამ სენის გამო ჩვენ გვსურს რამდენიმე მოსაზრება გამოვსთქვათ ჩვენს ორგანოში მკითხველთა და მოშაირეთა საცნობელად.

მოლექსეობის სენი მარტო ჩვენი საკუთარი მოვლენა არ არის. ამგვარივე მოვლენა შენიშნულია სხვაგანაც, მაგალითად რუსულ ლიტერატურაში.

ახალი მოშაირები ძველ რამეებს იმეორებენ. ხანდისხან პირდაპირ ლიტერატურულ ქურდობასაც სჩადიან. იღებენ სხვა და სხვა ლექსებს და იქიდან აკოწიწებენ და აზავებენ „ახალ თხზულებას.“ ზოგჯერ აზრს კი არა, პირდაპირ ლექსებს ჰპარავენ უცხოელ ავტორებს და სხვ.

ასე ძლიერი ყოფილა სურვილი თავის გამოჩენისა, ცრუ პატივ-მოყვარეობისა!..

ეს მოვლენა, რასაკვირველია, მხოლოდ ლიტერატურის დაცემის მომასწავებელია და სხვა არაფრისა.

სწორედ ამან აიძულა ახლად დაარსებულ რუსულ ჟურნალ „სოვრემენნიკის“ რედაქცია,—რომლის შესახებ ამას წინად გამოვბაზსეთ ჩვენს მკითხველებს,—სრულებით მოესპო თავის გამოცემაში ლექსების განყოფილეობა.

თუ ეს ითქმის რუსულ ლიტერატურაზე, რომელსაც ჰყავს უეჭველი ნიჭის პატრონი პოეტები, როგორც, მაგ., ბალმონტი, ვალერი ბრიუსოვი, თ. სოლოგუბია და სხვ. მით უფრო ეს სათქმელია ჩვენს ლიტერატურაზე, რომელიც გაცილებით ღარიბია დღეს ამ მხრით.

მართლაც, ახლანდელი პოეტი ძალიან გონება - განვითარებული, საზოგადოდ მომზადებული უნდა იყვეს, რომ კვალი დაჩნევინოს ლიტერატურაში თავის „ზეგარდმო მადლით ცხებულ ნიჭს.“

მკითხველი ჩვენში განვითარებულია. მას აქვს გაცნობილი შოთა, შავთელი, ჩახრუხაძე, ბარათაშვილი, აკაკი, ილია, ვაჟა და შექმნილი გემოვნებაც. მაშასადამე ძალიან რამე უნდა დასწეროს ახალმა მგოსანმა, რომ მიიპყრას ყურადღება ჩვენი საზოგადოების განვითარებული ნაწილისა.

ლექსში, თუ პოემაში უნდა გამოსახული იყვეს ნამდვილი პოეტური აზრი, რომელსაც უნდა ჰქონდეს ლამაზად ჩამოყალიბებული გარეგანი ფორმა. უნდა იყოს დაწერილი მშვენიერი ქართული პოეტურის ენით, რომლის სიმდიდრე უკვე ცნობილია შოთას და აკაკის შემდეგ. ამავე დროს, რასაკვირველია, ლექსი უნდა გაჟღენთილი იყოს მოქალაქობრივი, მამულიშვილური გრძნობით, რომ მკითხველის გულს სახმილი მოუკიდოს და ზე აღაფრთოვანოს. თუ ლექსი არ გაუღვიძებს ეშმარიტ კეთილშობილურ გრძნობებს და აზრებს, ის ვერ ჩაითვლება აღსანიშნავ მოვლენად.

ამიტომ ჩვენის აზრით ჩვენი რედაქციები დიდის სიფრთხილით და არჩევით უნდა ჰბეჭდავდენ პოეტურს და საზოგადოდ ბელეტრისტიულს ნაწარმოებს. უნდა იყოს ამისათვის დადებული რაიმე მხატვრობითი გემოვნების შესაფერი საზომი, რომლის მიხედვით კრიტიკოსი უნდა აფასებდეს ლიტერატურულ ნაწარმოებს. მხოლოდ მაშინ არ გაირყვნება მკითხველი საზოგადოების მხატვრობითი გემოვნება და ლიტერატურაც აყვავდება. თორემ აბა შეხედეთ, რას წარმოადგენს ახლანდელი ჩვენი ლიტერატურა. ვინა სწერს დღეს ლექსს, პოემას, მოთხრობას, რომანსაც კი? მარტო ერთი შეხედვით რომ გადახედოთ ჩვენს პერიოდულ გამოცემებს, თუნდ წიგნებს, გეგონებათ ეს ჩვენი დალოცვილი საყვარელი სამშობლო, პაწია საქართველო სულ რუსთველებით და შესანიშნავი ბელეტრისტებით ავსებულაო. მაგრამ ეს ასე არ არის. ეს მოვლენა ერთის მხრით ლიტერატურულ კრიტიკის უქონლობას მიეწერება. ჩვენში თუ კრიტიკული რამე იწერება, მას სიჩქარის ხასიათი ამჩნევია. დაკვირვებით და გულ-დასმით ჯერ არავინ შესდგომია ამ საქმეს. ჩვენ, რასაკვირველია, გვაქვს სახეში იმისთანა ლიტერატურული კრიტიკა, როგორიც არის ბელინსკის, დობროლიუბოვის, ბრანდესის და სხვ. კრიტიკა, რომელსაც თვით ავტორზე, შემთხზველზე მოუხდენია შესაფერი და მძლავრი ზე-გავლენა. მხოლოდ ამგვარ კრიტიკას აქვს მნიშვნელობა, თორემ უბრალო რეცენზიებს არავითარი ზეგავლენის მოხდენა არ შეუძლია.

მაგრამ მოხდება ხოლმე, რომ აუარებელ არაფრად მოსახმარ მასალაში იმალება ზოგჯერ ობოლი მარგალიტი.

ამგვარ მოვლენად უნდა ჩაითვალოს ლექსი ს. აბაშელისა „ჩაჰქრა დილა“. დასტამბული ჟურნალ „სალამურის“ უკანასკნელ ნომერში. ჩვენ არ შეგვეძლო არ მოგყვეყვანა ეს ნაწარმოები ჩვენი გაზეთის ფურცლებზე, როგორც შესანიშნავი ნიმუში უტყუარი პოეტური ნიჭისა.

სხვა ჩვენ ახალგაზდა ნიჭიერ მგოსანთა შორის მკითხველი საზოგადოება იცნობს ს. აბაშელსაც.

ბევრი ლექსი ჰქონდა მას დაბეჭდილი რუსულ ენაზე „ნოვაია რეჩში“. მასვე აქვს დასტამბული ბევრი ლექსი ქართულად სხვადასხვა პერიოდულ გამოცემებში. ყველა მის ლიტერატურულ ნაწარმოებს უცილობელი პოეტური ნიჭი ეტყობა. ჩვენ მხოლოდ გულწრფელად ვურჩევთ სწეროს ლექსები მხოლოდ და მხოლოდ ქართულ ენაზე. რუსული ლექსის ტეხნიკა და მოქნილი სტილი ცოტა არ ეხერხება მას. თუნდაც რომ ეხერხებოდეს კიდეც, ის უნდა ეცადოს თავის სამშობლო ლიტერატურის აყვავებისათვის ზრუნვას. თუ ჩვენი ქართველი პუბლიცისტები რუსულად სწერენ და იმართლებენ თავს, საზოგადო საქმეს ვემსახურებითო, ჩვენი პოეტ-ბელეტრისტები ქართულის მიტოვებით, ვერაფრით ვერ გაიმართლებენ თავს. აყვავებული სამშობლო ლიტერატურა—განწმენდილი, განსპეტაკებული ჰაერია ხალხისათვის, სადაც მას შეუძლია თავისუფლად ამოისუნთქოს.

სადღეისოდ ეს კმარა. ახლა დასტკბით ს. აბაშელის ლექსით, რომლის „სიტყვა აზრს სთანხმობს, აზრი ლექსთ-წყობას და ყველა ერთად სულსა და გულსა“. მართლაც, საოცარი შედარებებია, მეტაფორები და სიმბოლოები! რაც შეეხება აზრს, ეს ხომ თავის-თავად გამოსქვივის.

ჩვენ ყველა ამას იმიტომ ვამბობთ და ვბეჭდავთ სხვაგან უკვე დაბეჭდილ ლექსს, რომ ჩვენმა მოლექსეებმა იცოდენ, რა საზომით ვაფასებთ ჩვენ პოეტურ ნაწარმოებს. იმედია, ახლა მაინც თვითონ გახდებიან თავიანთ თხზულებათა უსასტიკესი კრიტიკოსები და ჩვენ აღარ გვაიძულებენ ამ მოვალეობის მათ წინაშე გაწევას.

ს. აბაშელის შემოქმედობამ ისე წაგვახალისა, რომ ჩვენი გაზეთის რედაქციამ გადასწყვიტა დანიშნოს ფულის პრემია საუკეთესო ქართული ლექსისათვის, რომელიც დაწერილი იქნება 1911 წლის განმავლობაში. ამისათვის ცალკე ყუთი (დამფასებელნი) იქნება დაარსებული. პრემიის რაოდენობა, პირობები და ყუთის წევრების სახელები ამ მოკლე ხანში იქნება გამოცხადებული.

ჩაჰქრა დილა.

მახსოვს დილა მოციმციმე, შვების ცრემლით ანათრთოლი,
ციურ მნათობს შესცინოდა, უკუნეთთან შენაბრძოლი.
წალკოტს გული მოექარგა მძივად წყობილ ალმას-ნამით,
ირგვლივ არე მოხიბლული ნეტარებდა ლხენის წამით.
მზის სხივებში ჰბანაობდა ვარდ-ზამბახი და ბილილა...
მახსოვს დილა, შვების დილა!..

ცა ღელავდა, ლურჯ ეთერში ოქროს ტალღებს ატოკებდა,
ცის ზეფირი ფრთა გაშლილი ვარდათ ფურჩქნილ სხივებს ჰკრებდა
და შუქ-ნაფეთქ დედამიწას დაბნევდა ყვავილთ კონად.
სიხარულის დასაპყრობად, სიცოცხლესთან შესაკონად.
თან სოფელიც მომავლისთვის უკვდავების გვირგვინს სწნავდა...
ცა ღელავდა, ცა ელავდა!..

საუკუნეთ განაჭედი კაცთ ბორკილი იმსხვრეოდა,
ძველი ქვეყნის ძველი ჰანგი ახალ ჰიმნში ინთქებოდა.
გულში ნაგუბ სულის სწრაფვა ფრთა-შესხმული ზეცად ჰფრენდა,
მომავლისა ნაპერწკალი შორეულ გზას ნათელს ჰფენდა.
ბრძოლის ცეცხლში იცვლებოდა უკუღმართი მონის ბედი,—
საუკუნეთ განაჭედი!...

ახლად შობილ ახალ ჰანგსა უთანხმებდნენ გულის ძგერას,
საბრძოლველად უყიოდნენ დაუნდობელ ბედის-წერას.
ამაყ გრძნობით გამსჭვალულნი ნათელ მზისკენ მიილტვოდნენ,
ციურ არსთა საგალობელს დედა-მიწას უგალობდნენ,
და მგოსნებიც სასოებით აქოვებდნენ ოქროს ჩანგსა—
ახლად შობილ ახალ ჰანგსა!..

მაგრამ ქვესკნელთ სამყაროდან უცებ ქარმა დაიქროლა,
ღრუბელთ გროვა წამოშალა და მზის სხივებს შეებრძოლა.
გამარჯვების თაიგული უკუნს შერთო, გაამტვერა
და შესცვალა მწარე კვნესად ტკბილი ჰანგი და სიმღერა.
სულს ოცნების ფრთა წაეკრა და წარილო შავმა მტერმა—
ქვესკნელიდან მონაბერმა!..

(= ეკლესიიდან)

და დაჩრდილა შვების დილა წუთიერად ანათრთოლი,
ცის-კიდურზე გამოსახა შავი ღრუბლის შავი ზოლი.
წალკოტს მკერდი დაუბნელა, ააცალა ვერცხლის მძივი,
ირგვლივ არე დააბნელა, ჩაუფერფლა ზეცას სხივი;
შავ-ბნელ ნისლში მოამწყვდია ვარდ-ზამბახი და ბილილა,—
ჩაჰქრა დილა, შვების დილა!

ს. აბაშელი.

საამდროო საკითხი.

წერილი მესამე.

წინა წერილში ის აზრი გამოვსთქვი, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ხალხის ცხოვრებაში საზოგადო განათლებას, საზოგადო სკოლას. საზოგადო განათლება იმდენად არის შესაძლებელი, რამდენათაც ის ადამიანის ნაგზის თანაბრად და ყოველ მხრივ განვითარებისათვის საჭიროა. ჩვენ სრულიად არა ვართ დამტკიცული იმ აზრისა, რომ საზოგადო სკოლა სუფევლადფრის ცოდნას ავრცელებდეს, ენციკლოპედიზმს ემსახურებოდეს. ეს საჭირო სრულებით არ არის. პირველ და უმთავრეს საკნად თავის დროზე საზოგადო განათლებიდან სპეციალურ განათლებაზე გადასვლა უნდა ადგიარო. თუ ამას მოვახერხებთ ამ შიში ადგილი არ ექნება, ვითომც საზოგადო განათლება კონებს ზერელად ავითარებს.

სკოლა მადლია მოსამზადებელი სახელოსნო რდია, არც ფაბრიკა, რომელიც სპეციალისტებს ამზადებს. სკოლამ უნდა განვითარის ადამიანის სულის ყოველი ნაგზი და თვისება. მაშინ მხოლოდ განვითარდება და განმტკიცდება კონება; დაადგება იმას, რაც მას შეუწყვეტელ და შეუჩერებელ მოქმედებას თხოულობს. არ არის მართალი ის აზრი, ვითომ ერთმხრივი განვითარება, ერთმხრივი მოქმედება სულისა საკნის დრმა და ვრცელ ცოდნას მიანიჭებს ადამიანს და არკუნეს დრმა აზროვნებას.

თუ სულის ყოველი ნაგზი და თვისება სწორედ არ არის განვითარებული, ადამიანის კონების ნაგზიც მხოლოდ ზეკარდმო მადლის შედეგი შეიძლება იყოს და არა ადზრდისა. თუმცა ადამიანს, რომელიც მხოლოდ ერთი საკნის შესწავლაზე იქნება დამუარებული, შეუძლია შეიძინოს საკმაო ცოდნა, მაგრამ უნდა გვახსოვდეს ამ ერთმხრივ შესწავლის დრმა შეუძლებელია მან მიაღწიოს ნამდვილ შეხედულებას საკანზე. ასეთი საუნჯე, დარებულება შეიძლება შეიძინოს ადამიანმა მხოლოდ საზოგადო განათლების საშუალებით, როდესაც სულის ყოველი ნაგზი თანაბრად განუვითარდება.

ეველამ კარგად იცის დღეს, რომ მსოფლიო ბაზარში მხოლოდ იმ ხალხს რჩება გამარჯვება, რომლის კულტურა და განათლება მოწინააღმდეგეებზე უფრო მაღალ სდგას. შე-19-ე საუკუნის სამოციან წლებში, როცა გერმანიამ სამხედრო საქმეში გაიმარჯვა, ჯერ ავსტრიაგანადგურა და შემდეგ საფრანგეთი აიკლო, ევროპის საზოგადო აზრი ამტკიცებდა, გერმანიის გამარჯვება, მისი სამამრი იარაღის შედეგი კი არ არისო, არამედ სკოლის მასწავლებლის შრომისაო, ე. ი. გერმანიის განათლებამ გაიმარჯვაო.

